ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ ივლისი _____ 2024 წელი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ------- ივლისის №---------- ------ მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში. კერძოდ, განკარგულების დანართში პირველი და მეორე პუნქტები, ობიექტი (ბენზინგასამართი სადგური) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერკომპანი“ (საიდენტიფიკაციო კოდი №231963818) შეიცვალოს და ჩაენაცვლოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ლემონდო“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404602612).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,ლემონდოს" წარმომადგენლის მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის №ბ44.442305929ბრძანებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებას, მოიჯარედც შპს ,,ლემონდოს ჩანაცვლებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის №ბ44.442305929 ბრძანებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერკომპანი'' (საიდენტიფიკაციო კოდი №231963818) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერკომპანის'' (საიდენტიფიკაციო კოდი №231963818) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ბრძანების დანართში მითითებული უძრავი ქონება (xy ღერძების კოორდინატებზე განთავსებული წერტილები).

სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებები (xy ღერძების კოორდინატებზე განთავსებული წერტილები) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერკომპანია'' (საიდენტიფიკაციო კოდი №231963818) მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფასმაჩვენებელი ტექნიკური მოწყობილობის განსათავსებლად. ასევე, სარგებლობაში გადაცემული ქონების სარგებლობის უფლების ვადაზე ადრე დასრულების შემთხვევაში, ქონება უბრუნდება მესაკუთრეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დღეის მდგომარეობით ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართი სადგური და ფასმაჩვენებელი მოწყობილობა სარგებლობაში გადაცემული აქვს შპს ,,ლემონდოს" მიწანშეწონილია შეტანილი იქნა ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში. კერძოდ, კერძოდ განკარგულების დანართში ობიექტი (ბენზინგასამართი სადგური) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,იბერკომპანი'' (საიდენტიფიკაციო კოდი №231963818) შეიცვალოს და ჩაენაცვლოს შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ლემონდო" (საიდენტიფიკაციო კოდი №404602612).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, ,,ე.ე" ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიანე სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი